VIII თავი

კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

(განახლებული რედაქცია - თებერვალი, 2022 წ)

ბსუ-ში აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის სტანდარტული დანართით გაცემის პროცესი განმარტებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებულ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N2),** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებით დამტკიცებულ „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებაში“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 20**) და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესში“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 3).**

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი კომისიური წესით უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების შესწავლას. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: ფაკულტეტის დეკანი; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტი.

საკვალიფიკაციო კომისია ამზადებს დასკვნას ფაკულტეტის საბჭოსათვის წარსადგენად. კომისიის დასკვნაში უნდა აღინიშნოს თითოეული კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და სპეციალობის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

სტუდენტს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა დიპლომი სტანდარტული დანართით, ხოლო სტუდენტი, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება სტუდენტის სტატუსი.
საკვალიფიკაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისთვის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე, რაც დაუყოვნებლივ აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის დიპლომის შესაბამისი სტანდარტული დანართით გაცემის შესახებ.

დოქტორის აკადემიურ ხარისხს (Ph.D) ბსუ-ს დოქტორანტს ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, ამ საბჭოს დებულებისა და „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 20**).